ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

CREATIVE CONNECTIONS

სიღრმისეული ჯავშირები

2025

შემოქმედებითი
კომპასი
საქართველო

შემოქმედებითი კავშირები
CREATIVE CONNECTIONS

2025

გამოცემულია საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მიერ
Published by Goethe-Institut Georgien
2026

ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

© ყველა სურათის საავტორო უფლებები ეკუთვნის 2025 წლის „შემოქმედებითი კავშირების“ ბენეფიციარებს და გრაფიკულ დიზაინერს მარიამ ჟღენტს, რომლის ილუსტრაციები შთაგონებულია „შემოქმედებითი კავშირების“ მიერ მხარდაჭერილი ინიციატივების ფოტომასალით.

© Copyright for all images is held by the beneficiaries of Creative Connections 2025 and by graphic designer Mariam Zghenti, who created illustrations inspired by photos from Creative Connections-supported initiatives.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union and Goethe Institut Georgien. Its contents are the sole responsibility of the project Creative Compass Georgia and do not necessarily reflect the views of the European Union.

სარჩევი
TABLE OF CONTENTS

03... „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ პროექტის შესახებ
Overview: Creative Compass Georgia

12 ... შემოქმედებითი კავშირები 2025
Creative Connections 2025

19 ... ახალი ფორმები შემოქმედებითი თვითგამოხატვისთვის: 15 ისტორია
Sparking New Forms of Artistic Expression: 15 Stories at a Glance

37... შემოქმედებითი კავშირების რუკა 2024-2025
Creative Connections Map 2024-2025

38... შეჯამება
Summary

მიმოხილვა
შემოქმედებითი კომპასი საქართველო

„შემოქმედებითი კომპასი საქართველო" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი (2023-2027) პროექტია, რომელიც საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის მიზანია რეგიონებში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს: შემოქმედებითი რესურსების იდენტიფიცირება და მათი გამოყენების დაგეგმარება, შემოქმედებითი სივრცეების განვითარება, ახალი შესაძლებლობების შექმნა, მეწარმეობის ხელშეწყობა, სექტორთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

OVERVIEW
CREATIVE COMPASS GEORGIA

Creative Compass Georgia (CCG) is a four year (2023-2027) EU-funded project which is implemented and co-funded by Goethe-Institut Georgien. Creative Compass Georgia empowers cultural and creative industries across regions in Georgia, contributing to enhancing the socio-economic environment of the country. To achieve this goal, the project works in different directions: identifying, strengthening and utilising creative resources, creating new opportunities, developing creative spaces, promoting entrepreneurship, deepening cross-sectoral and international cooperation.

2025 წელს, პროექტმა „შემოქმედებითი კომპასი საქართველო", პროგრამა „შემოქმედებითი კავშირების" მეშვეობით, საქართველოს მასშტაბით 8 რეგიონში 15 ახალ შემოქმედებით ინიციატივას დაუჭირა მხარი და არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა.

2024 წელს პროგრამის წარმატებულმა განხორციელებამ მისი გაგრძელება გარდაუვალი გახადა, რაც საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი პოტენციალისა და კულტურული ეკოსისტემის კიდევ უფრო გაძლიერების შესაძლებლობას ქმნიდა.

„შემოქმედებითი კავშირების" ფარგლებში არაერთი ახალი თანამშრომლობა შედგა. განხორციელებულმა აქტივობებმა მოიცვა სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულება — მუსიკა, ცეკვა, თეატრი, რეწვა, ამბის თხრობა, ფოტოგრაფია, კინო და არქიტექტურა, რითაც ცალსახად გამოიკვეთა სექტორის განვითარების პერსპექტივა.

ინდივიდუალური ინიციატივებისა და თანამშრომლობითი პროექტების მეშვეობით „შემოქმედებითმა კავშირებმა" შექმნა უსაფრთხო და ინკლუზიური სივრცეები გამოცდილების გაზიარებისთვის, ახალი დიალოგისა და სამომავლო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

In 2025, Creative Compass Georgia brought a wave of cultural initiatives to life, supporting 15 diverse projects across 8 regions through its successful programme - Creative Connections.

Building on the success of its first edition in 2024, the programme's second edition was designed to unlock creative potential and strengthen cultural ecosystems across the regions of Georgia. By empowering local cultural actors, it fostered vibrant engagement and sparked new forms of artistic expression.

Creative Connections created networks among artists and cultural actors across regions and disciplines. It embraced a wide range of artistic forms – music, dance, theatre, crafts, storytelling, photography, film, and architecture – showcasing the diversity and resilience of the cultural sector. Through individual initiatives and collaborative projects, Creative Connections provided safe, inclusive spaces for meaningful dialogue, shared experiences, and future partnerships.

6
ჩატარებული ღონისძიება
Events hosted

2
დადგმული პერფორმანსი
Performances produced

120
დამსწრე
Attendees engaged

სანიაოს ხელოვნების რეზიდენცია

მცხეთა-მთიანეთი

„სანიაო“ არის მზარდი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული სახელოვნებო სცენის დეცენტრალიზაციას, ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებას და რეგიონებში მდგრადი თანამშრომლობის განვითარებას.

„შემოქმედებითი კავშირების“ ფარგლებში სოფელ მაღრანში საფუძველი ჩაეყარა „სანიაოს ხელოვნების რეზიდენციის“ მრავალფუნქციურ, ღია სცენის მშენებლობის საწყის ეტაპებს. ახალი სივრცე მოიაზრება როგორც სარეზიდენციო, ასევე სარეპეტიციო და წარმოდგენებისთვის განკუთვნილი სივრცე, რომლის მიზანია რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საინტერესო აქტივობა, მათ შორის — თანამედროვე ცეკვის წარმოდგენა ტყეში, შემოქმედებითი სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდებისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობა.

SANIAO ART RESIDENCY

Mtskheta-Mtianeti

Saniao is an emerging cultural initiative dedicated to decentralising the Georgian art scene, encouraging youth participation, and fostering sustainable artistic collaboration in rural areas.

As part of the Creative Connections the first steps toward building a multifunctional open-air stage at the Saniao Art Residency in Maghrani, Dusheti have begun. This space will serve as both a creative residency and a vibrant performance venue, designed to amplify the voices of young regional artists and foster sustainable artistic collaboration.

The project has already sparked creativity through forest dance performances, youth workshops, and international artistic exchanges, creating a dynamic platform for cultural dialogue.

ყველაფერი რაც მე ვიცი, რა პრაქტიკაც აქამდე მიგროვებია და მინდა ამ სივრცეს მოვახმარო - არ კმარა. ჩემში საჭირო გახდა კურატორობის მაქსიმალურად ეფექტური უნარის გამომუშავება. გუნდთან სწორი და მიზანსწრაფული კომუნიკაციის დაჭერა. მეტი სიზუსტის, სიფრთხილის და თადარიგის შემუშავება თითოეული ღონისძიებისა თუ საქმიანობის პერიოდში. ეს არის ახალი საჭირო უნარების შემუშავების საუკეთესო გზა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ბევრად მეტ დროს საჭიროებს იმისთვის, რომ იოლად და თამამად შეუერთდეს მსგავს სიახლეებს, სანიაოში მაინც მოხერხდა მათი ხშირი სტუმრობა და მათზე ამ გარემოს მეშვეობით სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენა.

ნათია ბუნტური| სანიაოს ხელოვნების რეზიდენცია

I realised that everything I knew, all the practices I had accumulated, and all I hoped to contribute to this space were not enough. I needed to develop stronger and more effective curatorial skills. Building clear, goal-oriented communication with the team became essential, as did cultivating precision, caution, and foresight in every event or activity. Through this process, I gained new competencies that felt both necessary and transformative. Although the local community needed more time to engage confidently with such innovations, in Saniao we still managed to attract regular visitors and leave a genuinely positive impression through this thoughtfully created environment.

Natia Bunturi / Saniao Art Residency

ფოტოზე: ნათია ბუნტურისა და სანდრა სოკის ქორეოგრაფიული დუეტი „STAINS“ და ხატვის დღე სანიაოს ხელოვნების რეზიდენციაში.
On the photo: „STAINS,“ a duet performance by Natia Bunturi and Sandra Sok, and the painting day at Saniao Art Residency.

თოჯინების თეატრი "ოჩოპინტრე"

შიდა ქართლი და ქვემო ქართლი

თოჯინების თეატრი „ოჩოპინტრე", რომელიც 1999 წელს ძეგვში მდებარე ბავშვთა თავშესაფარში დაარსდა, დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა **საქართველოს სოფლებში გასვლითი სპექტაკლების ჩატარებაზე.** „შემოქმედებითი კავშირების" მხარდაჭერით ამ ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა. თეატრმა შეიძინა საჭირო აღჭურვილობა, შექმნა პორტატული სცენა და ოთხ სოფელში გამართა გასტროლი, სადაც 100-ზე მეტ ბავშვს უმასპინძლა.

სოფლებში მცხოვრები ბევრი ბავშვისთვის ეს თეატრალური წარმოდგენა პირველი შესაძლებლობა იყო მსგავსი ღონისძიების ნახვის, რაც მათთვის დიდი სიხარულის მომტანი გახდა. პროექტმა ასევე შექმნა გრძელვადიანი პერსპექტივები — „ოჩოპინტრე" თეატრს ახლა აქვს სათანადო აღჭურვილობა, რაც მომავალში გასვლითი სპექტაკლების ჩატარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

THE PUPPET THEATER „OCHOPINTRE"

Shida Kartli and Kvemo Kartli

The puppet theater „Ochopintre", founded in 1999 at the Dzegvi Children's Shelter, has long dreamed of **bringing performances to villages across Georgia.** Creative Connections enabled them to realise this vision for the first time. The theater purchased essential equipment, built a portable stage, and toured four villages, reaching more than 100 children.

For many children living in rural areas, this was their first chance to see a performance, and the visit brought excitement and joy. The project also created long-term impact – „Ochopintre" theater now has the equipment needed to continue touring in the future.

7
ღონისძიება
Events

4
ჩართული სოფელი
Villages involved

139
დამსწრე ბავშვი
Children attended

მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს „ოჩოპინტრეს" თეატრალურ დადგმებს.
Mariam Zhghenti's illustration portrays the theatrical performances of „Ochopintre".

6
კულტურული
მემკვიდრეობის
ობიექტის
აღრიცხვა
Heritage site
documented

100+
მონაწილე
Participants



„დარბაზული საუბრები“

სამცხე-ჯავახეთი

„დარბაზული საუბრები“ არის კულტურათაშორისი, ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო საველე სკოლა, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს უძველესი, ტრადიციული არქიტექტურული ტიპის - დარბაზის დოკუმენტაციის გარშემო.

პროექტმა „შემოქმედებითი კავშირების“ ფარგლებში გააერთიანა 20 ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილე. ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა კვლევა და საქართველოს ტრადიციული დარბაზული სახლების აღრიცხვა. **3D სკანირების, ინტერვიუებისა და ვიზუალური დოკუმენტაციის** საშუალებით გუნდმა აღმოაჩინა აქამდე უცნობი ნაგებობები. პარალელურად, სტუდენტები თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ოსტატებთან **თიხისა და ხის სახელოსნოებში,** სადაც მათ გააცოცხლეს დავიწყებული მასალები, შექმნეს სათემო ავეჯი და დაამზადეს ტრადიციული ბეჭდვისთვის საჭირო მასალები.

პროექტმა გააერთიანა არქიტექტურული კვლევა და **ადგილობრივი თემის ჩართულობა,** რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

DARBAZI DIALOGUES

Samtskhe-Javakheti

Darbazi Dialogues is an intercultural, interdisciplinary, and international field school dedicated to documenting one of Georgia's most traditional building types - the Darbazi.

As part of the Creative Connection, Darbazi Dialogues brought together 20 local and international participants to explore and record Georgia's traditional Darbazi houses. Using **3D scanning, interviews, and visual documentation,** the team identified and mapped several previously unrecorded structures.

Alongside the research activities, students partnered with local artisans in **clay, wood, and craft workshops,** reviving traditional materials and techniques. Together, they created communal furniture pieces and designed traditional print stamps inspired by regional heritage.

Blending architectural investigation with hands-on collaboration, the project **strengthened community connections** and deepened the participants' understanding of the region's cultural heritage.

ფოტოზე: „დარბაზული საუბრების“ ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა - დარბაზული სახლის აღრიცხვა, თიხისა და ხის სახელოსნოებში მუშაობა.

On the photo: Activities conducted within the Darbazi Dialogues – documenting the Darbazi house, and working in the clay and wood studios.

„ულევი მუსიკა“

ქვემო ქართლი

"ულევი" მარტყოფში არის შემოქმედების, ადგილობრივი თემისა და კულტურათა გაცვლის დღესასწაული. ფესტივალი „ულევი მუსიკა“ მიზნად ისახავს **სახელოვნებო ინიციატივების დეცენტრალიზაციას** - მუსიკის, ცეკვისა და შემოქმედებითი გამოცდილებების პოპულარიზაციას იმ რეგიონებში, რომლებიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩებიან.

მუსიკა, ცეკვა, სახელოვნებო ვორკშოპები, ღვინის დეგუსტაცია და ხელოვანებთან შეხვედრები - ეს იყო 2025 წლის ფესტივალის ძირითადი აქტივობები, რაც „შემოქმედებითი კავშირების“ მხარდაჭერით განხორციელდა. ორდღიანმა ფესტივალმა შექმნა სივრცე, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეეძლო საკუთარი თავის გამოხატვა, ახალი ურთიერთობების დამყარება და ერთად ყოფნის სიხარულის გაზიარება.

ULEVI MUSIC

Kvemo Kartli

„Ulevi“ in Martkopi is a vibrant celebration of creativity, community, and cultural exchange. Guided by the belief that artistic expression should flourish beyond major cities, the festival „Ulevi Music“ seeks to **decentralise cultural activity** by bringing music, dance, and creative experiences to regions often overlooked.

In 2025, Creative Connections enriched the Ulevi Festival by offering **musical performances, dance sessions, artistic workshops, and local wine tastings,** creating an open and welcoming space for people of all ages. Participants shared their creativity, built meaningful connections, and enjoyed the collective spirit that defines the Ulevi Festival.

აჩუქო ხალხს მუსიკის მოსმენის, ცეკვის და გართობის სივრცე, რთული და საპასუხისმგებლოა - ჩვენ ვცდილობთ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო შევუქმნათ სტუმრებს. მარტყოფელებისთვის კულტურის კერის პატარა ჩანასახს ვქმნით და სოფელს მიმზიდველობას ვძენთ თბილისიდან თუ სხვა რეგიონებიდან მომავალთათვის. ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა ის, რომ "ულევი" ხალხის ნდობას და სიყვარულს იღებს — მეგობარი მუსიკოსები, მარტყოფელი მოხალისეები, მასტერკლასების წამყვანები და სხვანი, ვინც უნგაროდ გვეხმარებიან, ჩვენს თანაგუნდელებად მოიაზრებიან. ახალშექმნილი კომუნა ბევრისთვის კონსტრუქციული გართობის სივრცედ, ზოგისთვის კი თავშესაფრად იქცა.

მარიტა გოგიჩაიშვილი | „ულევი მუსიკა“

Creating a space for music, dance, and joy is both a challenge and a responsibility. We aim to offer guests a safe, healthy environment. In Martkopi, we are planting the seeds of a cultural hub, making the village appealing to visitors from Tbilisi and beyond. What brings us the greatest joy is that "Ulevi" is gaining trust and affection. Musicians, local volunteers, workshop leaders, and others who help selflessly are part of our team. This newly formed commune has become a place for constructive recreation and, for some, even a refuge – a vibrant space, where creativity and community thrive together.

Marita Gogichaishvili / „Ulevi Music“

ფოტოზე: „ულევი მუსიკის“ ღონისძიება.
On the photo: An event during „Ulevi Music“.

8
ჩატარებული ღონისძიება და ვორკშოპი
Events and workshops held

200
დამსწრე
Attendees

„გორის ლანდშაფტები“

შიდა ქართლი

პროექტის მიზანი იყო გორის **ურბანული და ბუნებრივი გარემოს დოკუმენტირება.** განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ადგილებს, რომლებიც სწრაფად იცვლება ან ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად შეუმჩნეველი რჩება.

პროექტმა ქალაქის ცვალებადი ურბანული და ბუნებრივი ლანდშაფტები საფუძვლიანად შეისწავლა. გორის ფოტოგრაფთა კლუბის ჩართულობით, გუნდმა გამოიკვლია ნაკლებად შესწავლილი ადგილები და დინამიურად გარდამავალი უბნები, რის შედეგადაც შეიქმნა უნიკალური პანორამული არქივი.

არქივის შექმნის პარალელურად გამოიცა გაზეთი „შრე“, რომელიც ფოტოგრაფიასა და ურბანულ კვლევას აერთიანებს. პროექტის ფარგლებში გაიმართა საჯარო გამოფენა, მულტიმედიური ჩვენება და „Photo Walk“ (ფოტოტური). განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო გორის იდენტობის პოპულარიზაციას და ქალაქის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

GORI LANDSCAPES

Shida Kartli

The “Gori Landscapes” project aimed to **document both the urban and natural environments** of Gori – focusing particularly on areas undergoing rapid change or those often overlooked in daily life.

As part of the Creative Connections, „Gori Landscapes“ turned the lens on the city’s evolving urban and natural environments. Led by the Gori Photographers’ Club, the team documented overlooked corners and fast-changing areas, creating a stunning panoramic archive and publishing the newspaper „Shre“, blending photography with urban research. The project came to life through a public exhibition, video art screening, and a Photo Walk, sparking fresh conversations about Gori’s identity.

1
განხორციელებული ფოტოტური
Photo walk held

1
ვებინარი
Webinar

56
დამსწრე
Attendees

73
შემოქმედებითი ნამუშევარი
Creative outputs

ფოტოზე: ქალაქ გორის ფოტო, ავტორი - ნიკა სომხიშვილი.
„Photo Walk“ (ფოტოტური) ქალაქ გორში.
პროექტის საჯარო პრეზენტაცია/გამოფენა.

On the photo: A photograph of the city of Gori by Nika Somkhishvili.
Photo Walk in the city of Gori.
Public presentation/exhibition of the project.

„გენეტიკური მიდრეკილება და თანამედროვე ჰორიზონტები“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

პროექტმა ხულოს მუნიციპალიტეტის ნაქარგობის ოსტატები მოდის დიზაინერებსა და ტექსტილის პროფესიონალებს დააკავშირა, რითაც **ახალი დიალოგისა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები** შექმნა. სხვადასხვა სოფელში ვიზიტებისას დიზაინერები სტუმრობდნენ ოსტატების სახლებს, რომლებიც ერთდროულად როგორც საცხოვრებლად, ისე სახელოსნოდ ფუნქციონირებს. ამ შეხვედრებმა ხელი შეუწყო იდეების გაცვლას: მონაწილეებმა განიხილეს სხვადასხვა ტექნიკა, მასალების გამოყენების სპეციფიკა და საერთო შემოქმედებითი პრაქტიკები. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ოჯახებიც, რამაც თითოეული შეხვედრა შინაარსობრივად გაამდიდრა.

ინიციატივამ ერთმანეთთან დააკავშირა ისეთი შემოქმედი ადამიანები, რომლებიც განსხვავებული ცხოვრების სტილითა და კულტურული ხედვებით გამოირჩევიან. დიზაინერებმა ახალი ცოდნა მიიღეს **ტრადიციული რეწვის** შესახებ, ხოლო ოსტატებმა შეისწავლეს ახალი მასალები, გაიცნეს ახალი აუდიტორია და განვითარების შესაძლებლობები განიხილეს. შედეგად, არაერთი პერსპექტიული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, მათ შორის ორ საერთაშორისო პროექტსაც ჩაეყარა საფუძველი.

ადგილობრივი თემისთვის ინიციატივამ მნიშვნელოვანი კავშირები და **ახალი შესაძლებლობები** გააჩინა, რის შედეგადაც ტრადიციული ნაქარგობა კვლავ წარმოჩნდა როგორც ცოცხალი, თანამედროვე პრაქტიკა, რომელსაც როგორც მხატვრული განვითარება, ისე ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.

GENETIC INCLINATION AND MODERN HORIZONS

Autonomous Republic of Adjara

The project connected embroidery artisans from Khulo Municipality with fashion designers and textile specialists, opening **space for dialogue and future collaboration.** During visits to remote villages, designers entered artisans' homes—places that serve as both living spaces and creative studios and exchanged ideas on techniques, materials, and aspirations, with families contributing valuable context and stories.

These encounters bridged creative communities with different lifestyles and cultural perspectives. Designers gained direct insight into **traditional craftsmanship,** while artisans explored new materials, audiences, and markets. As a result, several promising **partnerships** emerged, including two international follow-up projects.

For the local community, the project brought recognition, meaningful connections and **new opportunities.** It redefined embroidery as a living, contemporary practice with strong artistic and economic potential.

9
ადგილობრივი ნაქარგობის ოსტატის ჩართულობა
Local embroidery artisans engaged

4
განხორციელებული ინდივიდუალური ვიზიტი სახელოსნოებში
Individual home-studio visits

5
მოდის დიზაინერის ჩართულობა
Fashion designers engaged

6
განხორციელებული შეხვედრა
Meetings held

15
მონაწილე
Participants

მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს ნაქარგობის ოსტატების საქმიანობას.
Mariam Zhghenti's illustration portrays the work of embroidery artisans.



ვერცხლმჭედლობის ვორკშოპი

კახეთი

პროექტმა თუშური ვერცხლმჭედლობის ტრადიცია გააცოცხლა - **კლასიკური ვერცხლის ჭედვა თანამედროვე კერამიკულ ხელოვნებას შეუთავსა** და ხელობას ახალი სიცოცხლე შესძინა. ახალგაზრდა მონაწილეებმა შეისწავლეს მეტალთან და თიხასთან მუშაობის ტექნიკები, ისტორიული დიზაინის ნიმუშები ციფრული არქივისთვის შეაგროვეს და ომალოში მუდმივი სამკაულების სახელოსნოს გახსნასაც შეუწყვეს ხელი.

პროექტის ფარგლებში ვორკშოპის რვა მონაწილემ ხელნაკეთი ნამუშევრების გამორჩეული კოლექცია შექმნა, რომელიც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, სადაც ერთ სივრცეში ტრადიცია და ახალი შემოქმედებითი ხმა გაერთიანდა.

თუშეთის თემმა ინიციატივის ფარგლებში შეიძინა ახალი უნარები, გააღრმავა ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და შექმნა **ახალი შესაძლებლობები** ადგილობრივი შემოქმედი ადამიანებისთვის. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა თანამშრომლობითი პროექტების პოტენციალი, რაც მომავალში ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება იქცეს.

SILVERSMITH WORKSHOP

Kakheti

The project revitalised Tushetian jewelry-making by combining **traditional silversmithing with modern ceramics.** Young participants learned metal and clay techniques, collected historic designs for a digital archive, and helped open a permanent jewelry workshop in Omalo.

Eight participants created a vibrant collection of handmade pieces and shared their work with the community through workshops and storytelling. The programme concluded with a public exhibition celebrating both heritage and new artistic voices.

For the Tushetian community, the initiative brought new skills, preserved cultural knowledge, and **opened new opportunities** for creativity and economic growth.

10+
ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობა
Local stakeholders engaged

5
ჩატარებული ღონისძიება და ვორკშოპი
Events and workshops held

20+
წარმოებული ხელნაკეთი ნიმუშები
Artworks produced

8
მონაწილე
Participants

80
დამსწრე
Attendees

ფოტოზე: ვერცხლმჭედლობის ვორკშოპების სამუშო პროცესი და საბოლოო შედეგების პრეზენტაცია.
On the photo: The working process of the silversmith workshops and the presentation of the results.

„ფარფლების რბოლა“

სამეგრელო-ზემო სვანეთი

ადგილობრივი თევზების სახეობებზე დაფუძნებული **საგანმანათლებლო პირველი სამაგიდო თამაშის** შექმნით პროექტმა ხელი შეუწყო ფოთის წყლის ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თამაში ერთდროულად წარმოადგენს როგორც ხელოვნების ნიმუშს, ისე სახალისო საგანმანათლებლო ინსტრუმენტს, რომელიც დაინტერესებულ ადამიანებს გადაშენების პირას მყოფ სახეობებს აცნობს.

პროექტის ფარგლებში 34 ახალგაზრდა ჩაერთო სამაგიდო თამაშის შექმნის პროცესში, რის ფარგლებშიც მათ პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს **ლაზერულ კვეთაში, ილუსტრაციის შექმნაში, ხის დამუშავებაში, ხატვაში, კერვასა და საბაზისო კონსტრუირებაში.**

თამაში ყურადღებას ამახვილებს საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე, როგორიცაა კოლხური ზუთხი, და თავისი შინაარსით მხარს უჭერს რეგიონულ გარემოსდაცვით საგანმანათლებლო პროცესებს.

პროექტმა ასევე ხელი შეუწყო **ახალ თანამშრომლობას რეგიონებს შორის** - გააერთიანა ახალგაზრდები ხის ხელოვნების, ტექსტილის, ციფრული დიზაინისა და კულტურის მენეჯმენტის პროფესიონალებთან, რითაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ შემოქმედებით ინიციატივებს.

FIN RACE

Samegrelo-Zemo Svaneti

The project raised awareness of Poti's aquatic biodiversity by creating **an educational board game** featuring local fish species. The game serves as both a cultural product and a fun learning tool about endangered species.

A total of 34 young participants helped design and produce Poti's first board game of this kind, gaining hands-on experience in **laser cutting, illustration, woodworking, painting, sewing, and basic construction.**

The game highlights threatened species such as the Colchian sturgeon and supports regional environmental education efforts. The project also sparked **new collaborations across regions,** connecting youth with professionals in woodworking, textile art, digital design, and cultural management, and laying the groundwork for future creative initiatives.

34
მონაწილე
Participants

5
ჩატარებული ღონისძიება და ვორკშოპი
Events and workshops held

15
ჩატარებული სესია
Sessions conducted





მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს სამაგიდო თამაშის შექმნის პროცესს.
Mariam Zhghenti's illustration portrays the process of creating a board game.

"შემოქმედებითი კავშირების" აქტივობების რუკა

MAP OF CREATIVE CONNECTIONS ACTIVITIES

2024-2025

39
მხარდაჭერილი ინიციატივა
Supported initiatives

5000+
მონაწილე საქართველოს მასშტაბით
Participants across the country

მხარდაჭერილი მხატვრული ფორმა
Supported artistic forms



- **საშემსრულებლო ხელოვნება** Performing Arts
- **არქიტექტურა** Architecture
- **მუსიკა** Music
- **ფოტოგრაფია** Photography
- **ტრადიციული რეწვა** Crafts
- **ამბის თხრობა** Storytelling
- **კინო** Film
- **ვიზუალური ხელოვნება** Visual Arts
- **ციფრული ხელოვნება** Digital Arts

მხარდაჭერილი რეგიონები
Supported regions

01 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
Autonomous Republic of Adjara

02 გურია
Guria

03 იმერეთი
Imereti

04 კახეთი
Kakheti

05 ქვემო ქართლი
Kvemo Kartli

06 მცხეთა-მთიანეთი
Mtskheta-Mtianeti

07 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti

08 სამეგრელო-ზემო სვანეთი
Samegrelo-Zemo Svaneti

09 შიდა ქართლი
Shida Kartli

10 სამცხე-ჯავახეთი
Samtskhe-Javakheti

„თეფში იტევს ისტორიას“

სამეგრელო-ზემო სვანეთი

ზუგდიდში მცხოვრები ადგილობრივი ქალებისთვის ორგანიზებულმა ვორკშოპების სერიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **კერამიკის სფეროში** როგორც ხელოვნების, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ვორკშოპების განმავლობაში მონაწილეები ეცნობოდნენ თიხასთან მუშაობის თანამედროვე ტექნიკებს, სწავლობდნენ ტრადიციული ქართული ორნამენტის სტილს და ეუფლებოდნენ თიხის ჭურჭლის დამზადებისა და დამუშავების სრულ პროცესს.

პროექტმა გაზარდა კერამიკის ლაბორატორიის ცნობადობა, რის შედეგადაც ფართო საზოგადოებამ გაიგო მისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საქმიანობის შესახებ და გაიცნო როგორც განვითარებადი ადგილობრივი ბრენდი.

A PLATE HOLDS HISTORY

Samegrelo-Zemo Svaneti

The project strengthened **ceramic arts education** in Zugdidi Municipality by offering an intensive hands-on workshop for local women. Participants learned modern clayworking techniques together with traditional Georgian ornament styles, gaining skills in clay preparation, processing, and decoration.

The project increased the Ceramics Laboratory's visibility, helping more people learn about its educational programmes and supported its growth as a developing local brand.

20
მონაწილე
Participants

86
წარმოებული
ხელნაკეთი ნიმუში
Artworks produced

ფოტოზე: კერამიკის ვორკშოპების სამუშო პროცესი და საბოლოო შედეგების პრეზენტაცია.
On the photo: The working process of the ceramic arts workshops and the presentation of the results.

„ამბერკი ჭანუყვაძე: წერილები გადასახლებიდან“

გურია

პროექტმა, გურიაში მცხოვრები ადგილობრივი თემის ჩართულობით, **ამბის თხრობისა** და თეატრალური დადგმის საშუალებით, შესაძლებელი გახადა საბჭოთა რეპრესიების როგორც პირადი, ისე კოლექტიური მეხსიერების შესწავლა და გააზრება. **არქივების, ზეპირი ისტორიებისა და პირადი დღიურების** გამოყენებით შეიქმნა საჯარო ამბის თხრობის შეხვედრა და თეატრალური წარმოდგენა „მამაჩემის დღიურები და ჩემი დღეები“.

განხორციელებულმა აქტივობებმა ერთ სივრცეში გააერთიანა ადგილობრივი მოსახლეობა, ხელოვანები და რეპრესირებული ოჯახების შთამომავლები. ინიციატივამ გააძლიერა საზოგადოების ჩართულობა, ხელი შეუწყო რეგიონის ისტორიის უკეთ გაცნობასა და თეატრის წარმომადგენლებს, ისტორიკოსებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და ახალგაზრდებს შორის ახალი შემოქმედებითი კავშირების ჩამოყალიბებას.

AMBERKI CHANUKVADZE: LETTERS FROM EXILE

Guria

The project explored both personal and collective memories of Soviet repressions in the Guria region of Georgia through community-based **storytelling** and an original theatrical production. Using **archival documents, oral histories, and personal diaries,** a public storytelling session and the performance „My Father's Diaries and My Days“ were created.

These events brought together residents, artists, and descendants of repressed families, opening spaces for shared reflection. The initiative strengthened public engagement with Guria's past and fostered new creative connections between theatre practitioners, historians, civic activists, and young people.

20+
პარტნიორის ჩართულობა
Stakeholders engaged

3
ჩატარებული ღონისძიება და ვორკშოპი
Events and workshops held

135
დამსწრე
Attendees





მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს ამბის თხრობის აქტივობებს.
Mariam Zhghenti's illustration portrays storytelling activities.





„ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ ᲮᲔᲕᲖᲔ“

მცხეთა-მთიანეთი

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ხევის რეგიონის **კულტურული მეხსიერების შენარჩუნება და იმ ცოდნის დაცვა,** რომელიც გაქრობის საფრთხის წინაშეა. გადაღებული ვიდეომასალის (ინტერვიუ) მეშვეობით ადგილობრივი თემის წარმომადგენლებმა არაერთი საინტერესო ისტორია გააზიარეს, რითაც ხელი შეუწყეს ცოდნის უწყვეტი გადაცემის პროცესს.

ამ ისტორიებისა და ხმების როგორც ადგილობრივი თემისთვის, ასევე ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომობამ გააძლიერა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესი, გაზარდა ინტერესი კონკრეტული რეგიონის მიმართ და წაახალისა ადგილობრივი თემის წარმომადგენლები — საკუთარი ისტორიების დოკუმენტირება დაეწყოთ.

LETS TALK ABOUT KHEVI

Mtskheta-Mtianeti

The project supported the **preservation of the cultural memory** of the Khevi region in the Kazbegi Municipality and **safeguarded knowledge** at risk of disappearing. Through the recorded video interviews, local community shared numerous interesting stories, contributing to the continuous transmission of this knowledge.

Making these stories and voices accessible both to the local community and to a wider audience contributed to cultural heritage preservation, increased interest in the region, and encouraged community members to start documenting their own stories.

6
წარმოებული
პოდკასტი
Podcasts
produced

7
ადგილობრივი თემის
წარმომადგენლის
ჩართულობა
Community members
engaged

მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს ინტერვიუს ჩაწერის პროცესს.
Mariam Zhghenti's illustration portrays the interview recording process.

„ნედლი ქალაქი“

შიდა ქართლი

„შემოქმედებითი კავშირების“ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი გახდა **დოკუმენ-ტური ფილმის** „ნედლი ქალაქი“-ს გადაღე-ბა, რომელიც გორში მცხოვრები ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრებასა და გამოცდილე-ბებს იკვლევს.

ფილმი მოგვითხრობს გორელ ახალგაზრდებ-ზე, რომლებიც ეძებენ ისეთ სივრცეებს, სადაც შეძლებენ საკუთარი თავის გამოხატვას, ახა-ლი ადამიანების გაცნობას და უბრალოდ თა-ვისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარებას.

ფილმის შინაარსი ყურადღებას ამახვილებს დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო და სახელოვნებო შესაძლებლობების დეფიციტ-ზე და წარმოაჩენს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდე-ბი დგანან — მათ ხშირად უწევთ დედაქალაქ-ში გადასვლა, რათა საკუთარი პოტენციალი აღმოაჩინონ და შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო იპოვონ.

RAW CITY

Shida Kartli

With support from Creative Connections, the **documentary film** „Raw City“ was produced. It explores the lives and experiences of young people living in Gori.

The film follows young Gori residents in their search for spaces where they can express themselves, meet new people, and simply spend their free time in an enjoyable way.

The film highlights the lack of decentralised educational and artistic opportunities and reveals the challenges faced by young people living in the region – many are often forced to move to the capital in order to discover their potential and find an environment that supports their creative development.

1
სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოება
Feature-length documentary film produced

70
დამსწრე
Attendees

ფოტოზე: ფილმის ჩვენების დახურული ღონისძიება გორში.
On the photo: A closed film screening event in Gori.

GOETHE-INSTITUT

დოკუმენტური ფილმის „ნედლი ქალაქის“ ტრეილერი.
Trailer of the documentary film „Raw City“.



კინოჩვენებები გურიაში

გურია

ჩვენებების სერიამ **თანამედროვე ქართული ფილმები** გურიის რეგიონში მცხოვრებ ადგილობრივ თემებს წარუდგინა, სადაც ახალი კინოს ნახვის შესაძლებლობა ხშირად შეზღუდულია. ჩვენებებზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების ნამუშევრები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების რეალობას ასახავენ და ადგილობრივი აუდიტორიისთვის ნაცნობ თემებს ეხებიან.

თითოეულ ჩვენებას თან ახლდა დისკუსია, სადაც დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა ჩართულიყო საუბარში და ფილმების სხვადასხვა თემაზე სიღრმისეულად ემსჯელათ. ღონისძიებების ამ ფორმატმა ხელი შეუწყო აქტუალურ სოციალურ საკითხებზე დიალოგის განვითარებას და ახალი კავშირები შექმნა რეჟისორებსა და ადგილობრივ თემს შორის.

ინიციატივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი **კულტურული ღონისძიებების დეცენტრალიზაციას** და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა იმისკენ, რომ თანამედროვე ქართული კინო რეგიონებშიც თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს.

FILM SCREENINGS IN GURIA

Guria

The series of screenings brought **contemporary Georgian films** to communities across the Guria region, where access to new cinema is limited. Screenings showcased works by emerging Georgian directors, sharing stories that reflect modern life and resonate with local audiences.

Each event included a discussion, giving attendees the chance to ask questions and explore the film's themes in more depth. This format encouraged meaningful dialogue on current social issues and strengthened connections between filmmakers and regional communities.

The initiative supported **cultural decentralisation** and expanded access to modern Georgian cinema beyond the capital.

6
ჩატარებული ღონისძიება
Events held

250+
დამსწრე
Attendees

80+
ჩართული პარტნიორი
Stakeholders engaged

მარიამ ჟღენტის ილუსტრაცია ასახავს კინოჩვენებების ღონისძიებებს.
Mariam Zhghenti's illustration portrays the film screening events.

„ულევი“ კინო და ვორკშოპები
ქვემო ქართლი

კინოჩვენებებისა და მრავალფეროვანი ღონისძიებების სერიის მეშვეობით პროექტმა მარტყოფში ცოცხალი კულტურული სივრცე შექმნა და „ულევის“ ეზო სიცოცხლით სავსე საზოგადოებრივ სივრცედ გარდაქმნა.

ჩვენებები იქცა აქტიური საზოგადოებრივი ჩართულობის პლატფორმად, სადაც ადგილობრივი თემის წარმომადგენლები სხვადასხვა საორგანიზაციო როლებში ჩაერთნენ. ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილ კვებას უზრუნველყოფდა მარტყოფელი მეწარმე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა „ულევის“ ხედვა — ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა და სოფელში დაფუძნებული მცირე ინიციატივების მხარდაჭერა.

ღია ცის ქვეშ მოწყობილმა კინოთეატრმა სოფელში ახალი კულტურული დინამიკა ჩამოაყალიბა. მაყურებელთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო „ულევის“ ეზო თანდათან ცნობად და სიცოცხლით სავსე საზოგადოებრივ სივრცედ იქცა, სადაც ხელოვნება და გამოცდილებების გაზიარება ერთიანდებოდა და რეალური შედეგიც მოიტანა — **გაძლიერდა სოციალური კავშირები,** გაიზარდა თემის ჩართულობა და ჩამოყალიბდა მარტყოფის ახალი კულტურული იდენტობის საფუძველი.

“ULEVI” FILMS AND WORKSHOPS
Kvemo Kartli

Through a series of film screenings and diverse events, the project created a vibrant cultural space in Martkopi and transformed the courtyard of „Ulevi“ into a lively community hub.

The screenings also became a platform for active community participation, engaging local residents in various organisational roles. Catering for the events was provided by a Martkopi-based entrepreneur, reinforcing „Ulevi's“ vision of creating new local opportunities and supporting small village-based initiatives.

The open-air cinema did more than introduce non-commercial Georgian films to rural audiences – it fostered new cultural dynamics within the village. With each event, attendance grew, and the courtyard of „Ulevi“ evolved into a recognisable, vibrant community hub. It became a place where art, dialogue, and shared experiences converge, **strengthening social ties** and shaping a renewed cultural identity for Martkopi.

4
განხორციელებული
კინო ჩვენება
Film screenings held

6
ჩატარებული
ვორკშოპი
Workshops held

48
დამსწრე
Attendees

ფოტოზე: „ულევის“ ეზოში გამართული კინოჩვენებები და საჯარო დისკუსია.
On the photo: Film screenings and a public discussion held in the courtyard of „Ulevi“.

5
ჩართული
პარტნიორი
Stakeholders engaged

3
ჩატარებული
ვორკშოპი
Workshops held

3
ჩართული
სოფელი და
1 ქალაქი
Villages and 1 city
involved

49
ჩართული
ახალგაზრდა
ქალი
Young women
involved

86
წარმოებული
ხელნაკეთი ნიმუში
Artworks produced

„ხელოვნება მოქმედებისთვის“

შიდა ქართლი

პროექტის მიზანი იყო 15–25 წლის **ახალგაზრდა ქალი ხელოვანების გაძლიერება,** რომლებიც გორის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ ცხოვრობენ. ინიციატივამ მონაწილეებს შეუქმნა უსაფრთხო და შემოქმედებითი სივრცე, სადაც ისინი **კომიქსების შექმნის** პროცესში შეძლებდნენ საკუთარი იდეების გამოხატვას და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

რეგიონში, სადაც გენდერულ საკითხებზე საუბარი ხშირად ფარული და ნაკლებად გახსნილია, პროექტმა შექმნა ახალი თვითგამოხატვის ფორმატი — ადგილი, სადაც ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქალების ხმა უფრო მკაფიოდ გაისმა და მეტი ძალა მიიღო.

პროექტის ფარგლებში შექმნილი კომიქსების წიგნი და პოსტერები იქცა რესურსად, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი კავშირების გაძლიერებას და დიალოგის განვითარებას როგორც თემში, ისე მის გარეთ.

ART FOR ACTION

Shida Kartli

This initiative **empowered young female artists** aged 15–25 living along the Administrative Boundary Line (ABL) in Gori Municipality. Through **graphic novel-making,** participants gained a creative and safe space to express themselves while raising awareness about women's rights.

The project introduced new forms of expression and education in a region where gender-related topics are often stigmatised or overlooked. By centring on youth voices, particularly those of young women, it challenged social norms and encouraged open dialogue in a safe and creative environment. The graphic novel book and posters served as tangible tools for raising awareness and fostering connections.

ბევრმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ პირველად დაფიქრდნენ, იმაზე თუ როგორ შეიძლება შემოქმედებითმა ფორმატმა სერიოზულ პრობლემაზე რეალური ეფექტით ილაპარაკოს და ამან საერთო დამოკიდებულებაც შეცვალოს ეტაპობრივად. ყველაზე შთამბეჭდავი შედეგი ის იყო, რომ პუბლიკაციამ გამოიწვია რეალური დიალოგი. პუბლიკაციის ვიზუალურ თუ ტექსტურ ნაწილზე მუშაობის დროს, ახალგაზრდებმა დაიწყეს საკუთარ გამოცდილებებზე საუბარი, რეალური წუხილების და ისტორიების გაზიარება, რომელიც მიმდინარე ქაოსური დღის წესრიგის გამო უგულებელყოფილია და რეაგირების გარეშე რჩება. შთამბეჭდავი იყო ისიც, რომ კომიქსის ვიზუალურმა ნაწილმა ძლიერი ემოციური პასუხი გამოიწვია და დაგვანახა, რომ მცირე ზომის პუბლიკაციამ ადგილობრივ საზოგადოებაში შეიძლება შექმნას სივრცე გულწრფელი, უსაფრთხო და თანასწორობაზე ორიენტირებული დიალოგისთვის.

მარიამ თოფჩიშვილი | „ხელოვნება მოქმედებისთვის“

Many young people noted that this was the first time they had reflected on how a creative format could address a serious issue with real impact and gradually shift public attitudes. The most remarkable outcome was that the publication sparked genuine dialogue. While working on its visual and textual components, participants began sharing personal experiences, concerns, and stories often overlooked in today's chaotic environment. It was also striking that the graphic novel's visuals evoked strong emotional responses, demonstrating that even a small-scale publication can create a safe, honest, and equality-oriented space for dialogue within the local community.

Mariam Topchishvili | „Art for Action“

ნაწყვეტი კომიქსებიდან, ილუსტრაციის ავტორი — გვანცა ბლიაძე.
An extract from the graphic novel, illustration by Guantsa Bliadze.

შეჯამება

„შემოქმედებითი კომპასი საქართველოს“ მობილობის პროგრამის ფარგლებში, „შემოქმედებითი კავშირების“ ორი გამოშვების (2024 და 2025) განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა მდგრადი პროფესიული კავშირები ადგილობრივ თემებსა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შორის. პროგრამამ გააერთიანა მრავალფეროვანი შემოქმედებითი გამოცდილების მქონე ადამიანი, **მოიცვა ქვეყნის მასშტაბით 10 რეგიონი და მხარი დაუჭირა 39 ინიციატივას, რომელშიც ათასობით მონაწილე იყო ჩართული.**

ამ პროცესის შედეგად შეიქმნა ისეთი არაფორმალური სივრცე, სადაც შემოქმედება, დიალოგი და თანამშრომლობა ბუნებრივად გაერთიანდა. ხელოვანებმა ახლებურად გადაიაზრეს ადგილობრივი კონტექსტი, ერთმანეთს გაუზიარეს ცოდნა და დაამყარეს ახალი თანამშრომლობა, რომელთაგან მრავალს მომავალშიც აქვს განვითარების პერსპექტივა.

სამუშაო შეხვედრების, ინოვაციური ღონისძიებების, შეკრებებისა და თანამშრომლობითი პროექტების მეშვეობით „შემოქმედებითმა კავშირებმა“ ჩამოაყალიბა ინკლუზიური გარემო, სადაც იდეები რეალურ ღონისძიებებად გადაიქცა და გაჩნდა ახალი შემოქმედებითი ფორმებიც.

2025 წლის პროგრამამ მხარი დაუჭირა შემოქმედებითი საქმიანობის ფართო სპექტრს და ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელოვანებისა და კულტურის სფეროს პროფესიონალების კონკრეტული პროექტების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ აქტივობები დროში შეზღუდული იყო, თითოეულმა ინიციატივამ მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა ახალ იდეებზე ემუშავათ, გაეცნოთ ახალი პარტნიორები, გაეზარდათ საკუთარი ხილვადობა და დაემყარებინათ ახალი პროფესიული კავშირები.

SUMMARY

Within the **Creative Compass Georgia** mobility programme, Creative Connections offered meaningful opportunities for creatives from diverse backgrounds to meet, exchange and collaborate through its two editions in 2024 and 2025. **Across 10 regions, the programme supported 39 projects and engaged thousands of participants,** creating environments where creativity, dialogue, and collaboration could flourish. Artists stepped beyond their usual surroundings, discovering new local contexts, exchanging skills, and forming partnerships that continued long after the activities ended.

The initiative offered opportunities to work across regions and disciplines. Through workshops, innovative events, gatherings, and co-creation processes, Creative Connections cultivated inclusive and supportive spaces where ideas could develop, and new forms of artistic expression could emerge.

The 2025 edition provided support to a wide range of creative initiatives and enabled local artists and cultural practitioners to realise specific projects. While these activities were limited in duration, they offered valuable opportunities for experimentation, collaboration, and increased visibility within Georgia's cultural landscape. The edition contributed positively to the participating creatives by strengthening their capacities and encouraging new connections.

გაიგეთ მეტი პროექტის შესახებ
Discover more about the project

goethe.de/creativecompassgeorgia